ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანალიზი

2018 წელი

აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ძირითად მიზანს წარმოადგენდა კმაყოფილების განსაზღვრა. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ონლაინ გამოკითხვა. კვლევის ინსტრუმენტი იყო რაოდნობრივი კვლევის კითხვარი. გამოკითხვაში მონაწილოება მიიღო 78 პერსონალმა, მათ შორის ქალი-56% და მამაკაცი-44%. 25-35 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებმა შეადგინეს 6,4%, 36-45 – 24,40%, 46-55-23,1%, 56-65-25,6% და 66+ 20,50%. 84,6%-ს ჰქონდა 6 წელზე მეტი სტაჟი.





უნივერსიტეტში სამუშაოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად დასახელებული იქნა პროფესიული და პოროვნული რეალიზების შესაძლებლობა (71,8%) და საინტერესო სამუშაო (59%).



დებულებებს, რომ უნივერსიტეტი აძლევს პროფესიული თვითრეალიზების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას სწავლების და კვლევის ახალი მეთოდებისა და მიდგომების დაუფლების მიზნი, ზოგადად ეთანხმება რესპონდენტთა **78,6% და 68%** (სრულიად დაეთანხმა შესაბამისად 56,4% და 50%).



დებულებებს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო პროგრამების /პროექტების შემუშავებაში და საერთაშორისო მობილობის პროცესში მონაწილების შესაძლებლობას ზოგადად ეთანხმება რესპონდენტთა **62,6% და 61,5%** (სრულიად დაეთანხმა შესაბამისად 43,6% და 42,3%).



დებულებებს, რომ უნივერსიტეტში შექმნილი სამუშაო გარემო კომფორტულია და უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები და სხვ.) და ტექნიკური აღჭურვილობა საკმარისია სამეცნიერო კვლევების სათანადოდ წარმართვისთვის ზოგადად ეთანხმება რესპონდენტთა **73,1% და 57,7%** (სრულიად დაეთანხმა შესაბამისად 46,3% და 38,5%).



დებულებებს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს საბიბლიოთეკო რესურსების განახლებაზე და უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და სამეცნიერო-პერიოდული გამოცემები ზოგადად ეთანხმება რესპონდენტთა **79.5% და 73,1%** (სრულიად დაეთანხმა შესაბამისად 56,4% და 50%).



კმაყოფილია უნივერსიტეტში:

არსებული პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით რესპონდენტთა **73,1%;**

მიღწევებითა და წარმატების აღიარების ხარისხით **77%;**

უნივერსიტეტის მართვის პროცესში ჩართულობის ხარისხით **59%**

პირადი სამუშაო სივრცის უზრუნველყოფით-**56,7%;**

ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით **64,1%'**

სხვადასხვა სახის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში ადმინისტრაციული სტრუქტურების რეაგირებით-**71,8%;**

კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა-**59%,** მათ შორის **49,6%** სურს უცხოეთში ღონისძიებებში მონაწილეობა. უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობებით პროფესიული განვითარების თვალსაზრისით კმაყოფილია **53,8%.**



დაუყოვნებელ საკითხებს შორის დასახელდა სახელფასო პოლიტიკა (69,2%), საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები (45%).



ამგვარად, გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის კმაყოფილების დონე უნივერსიტეტში საქმიანობით მაღალია.